GNM1-5-2022/1

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

„ვამტკიცებ"
ეროვნული მუზეუმის გენერალური
დირექტორი: დ. ლორთქიფანიძე

10 ივნისი, 2022 წელი

მუდმივად მიღების აქტი №5

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავჯდომარის მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილის მიერ გადმოცემული საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციების ევროპისა და სხვა ქვეყნების მონეტების ფონდში მუდმივად ჩარიცხვის შესახებ

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავჯდომარის მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილის განცხადებისა (2022 წ. 2 ივნისი, №1746) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძის 2022 წლის 3 ივნისის №324 ბრძანების საფუძველზე ჩვენ, ქვემო ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის თავჯდომარე მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი და მეორე მხრივ, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კოლექციების აღრიცხვა-დაცვისა და მართვის სექტორის ჯგუფის უფროსი ნინო გიორგობიანი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციების მთავარი კურატორი მედეია შეროზია ვაფორმებთ აქტს მასზედ, რომ პირველმა ჩააბარა, ხოლო მეორემ მუდმივად დასაცავად ჩაიბარა ქართველი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლის ლალი გიორგაძის მიერ შემოწირული ვერცხლის მონეტა.

№	საინვ. №	დასახელება	აღწერა	ფონდი
1	GNM1-5-2022/1	მონეტა	ორი დოლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა, რევერსზე გამოსახულია ეროვნული გმირი მერაბ კოსტავას პორტრეტი. შესრულებულია მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილის მიერ. ავერსზე გამოსახულია დედოფალი ელისაბედ II. მოჭრილია ლიეტუვის ზარაფხანაში 2021 წელს „საქართველოს ეროვნული გმირების" სერიის ფარგლებში. წონა: 30,30 გრ; დმ:40 მმ; 1 ცალი.	ევროპისა და სხვა ქვეყნების მონეტების ფონდი

მასალას მიეცა მუზეუმის საინვენტარო ნომერი **GNM1-5-2022/1** - გატარდა ეროვნული მუზეუმის ცენტრალურ შემოსულობათა წიგნში და მუდმივ დასაცავად გადაეცა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციების ევროპისა და სხვა ქვეყნების მონეტების ფონდს.

ჩააბარა:

მხატვარი ---------- ნ. მგალობლიშვილი

ჩაიბარა:
კოლექციების აღრიცხვა-დაცვისა და
მართვის სექტორის ჯგუფის უფროსი ---------- ნ. გიორგობიანი

მასალა ფონდში პირადი პასუხისმგებლობით
დასაცავად ჩაიბარა
ნუმიზმატიკური კოლექციების
მთავარი კურატორი: ---------- მ. შეროზია

აქტის გაფორმებას ესწრებოდა:
კოლექციების აღრიცხვა-დაცვისა
და მართვის სექტორის მთავარი სპეციალისტი: ---------- ც. სიდამონიძე